სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080122292206022

№ 3203

11 / ოქტომბერი /
2022 წ.

შპს „საგზაო სამშენებლო-სარემონტო კომპანია სერპანტინის“ თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელების შესახებ

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2022 წლის 15 სექტემბერს წარმოდგენილ იქნა შპს „საგზაო სამშენებლო-სარემონტო კომპანია სერპანტინის“ (ს/ნ: 231165529) 2022 წლის 15 სექტემბრის № 15/09-1 (რეგისტრაციის № 7019), რომლითაც მიმწოდებელმა მოითხოვა თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადის გაგრძელება. 2022 წლის 3 ოქტომბერს მიმწოდებელმა წარმოადგინა 2022 წლის 3 ოქტომბრის № 03/10-1 დაზუსტებული მომართვა (რეგისტრაციის № 7475), რომლითაც მან გამოასწორა მის თავდაპირველ მომართვაზე სააგენტოს 2022 წლის 29 სექტემბრის №3176 წერილით დადგენილი ხარვეზი.

სააგენტომ განიხილა მიმწოდებლის თავდაპირველი და დაზუსტებული მომართვები თანდართული დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის №2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3, მე-4 და მე-7 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

დადგენილია, რომ შპს „საგზაო სამშენებლო-სარემონტო კომპანია სერპანტინის“ (ს/ნ: 231165529) თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა იწურება 2022 წლის 12 ოქტომბერს. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 26 თებერვლის № 2 ბრძანებით დამტკიცებული „თეთრი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად:

1. შპს „საგზაო სამშენებლო-სარემონტო კომპანია სერპანტინს“ (ს/ნ: 231165529) 2022 წლის 13 ოქტომბრიდან გაუგრძელდეს თეთრ სიაში რეგისტრაციის ვადა.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ზაზა ნანობაშვილი